



საქართველოს საგანგაო სოციალური რესპუბლიკის

გ თ ა ვ ს ო ბ ი ს

# დადგენილებათა და განკარგულებათა პრეზიდი

1939 წ. ივნის 25

№ 15

თბილისი

ზ 0 6 1 1 6 0

სახალხო კომისართა ხაბჭოს დადგენილებანი

59. არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ „სატვირთო აეტომანქანების გამოყენების აკრძალვის თაობაზე“ საქართველოს სსრ სახკომისაბჭოს 1937 წ. 17 აგვისტოს დადგენილების გაუქმების შესახებ.

60. უმაღლესი დაუსწრებელი სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

61. თამბაქოს თავისუფალი გაყიდვის შესახებ.

62. საპროექტო ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების შედეგებისა და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

63. საქართველოს სსრ-ში სახომ-საწონი ხელსაწყოების რემონტის მოწყების შესახებ



## სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაზე

**59.** არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ „სატვირთო ავტომანქანების გამოყენების აკრძალვის თაობაზე“ საქართველოს სსრ სახკომისაბჭოს 1937 წლის 17 აგვისტოს დადგენილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

გაუქმებული იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1937 წლის 17 აგვისტოს გამოცემული დადგენილება არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ „სატვირთო ავტომანქანების გამოყენების აკრძალვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 16, მუხ. 117).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. რ. ჭელიძე.

1938 წ. თბერვლის 23. № 248.

თბილისი.

## 60. უმაღლესი დაუსწრებელი სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელი განყოფილებები, სათანადო სახალხო კომისარიატები და უწყებები ჯერ კიდევ არადამაქმაყოფილებლად ასრულებენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 29 აგვისტოს დადგენილებას „უმაღლესი დაუსწრებელი სწავლების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 39, მუხ. 228).

უმაღლეს სასწავლებლთა დაუსწრებელ განყოფილებებში კონტიგენტის მიღება ხდება არა საწარმოო ნიშნის მიხედვით, არამედ ამ განყოფილებებს უმეტეს შემთხვევაში ავსებენ იმ პირთაგან, რომლებმაც სტაციონალურ ინსტიტუტში ვერ ჩააბარეს საკონკურსო გამოცემები (ზოოვეტინსტრუტული მიღებული 161 კაციდან სოფლის მეურნეობაში მარტო 13 კაცი მუშაობს, სახელმწიფო ინდუსტრიალურ ინსტიტუტში მიღებულია 613 კაცი, რომელთაგან წარმოებაში მხოლოდ 198 კაცი მუშაობს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიღებულ 245 კაციდან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში მუშაობს მხოლოდ 164 კაცი, თბილისის სატრანსპორტო ინჟინერთა ინსტიტუტში მიღებულია 246 კაცი, აქცენტ მხოლოდ 94 კაცი მუშაობს და სხვ.).

ასეთი კონტიგენტის არსებობის დროს ხდება დაუსწრებელათ მოსწავლე სტუდენტების მასობრივი გადასვლა სტაციონარზე (მარტო თბილისის სატრანსპორტო ინჟინერთა ინსტიტუტში 1937/38 სასწავლო წლის განმავლობაში მეორე და მაღალ კურსებზე გადაყვანილია 135 კაცი, ზოოვეტინსტრუტული 214 კაციდან გადაყვანილია 130 კაცი და სხვ.).

დაუსწრებელი სწავლების ზოგიერთი განყოფილება შედარებით დაწეულებული კონტროლით არღვევს სტუდენტთა მიღების კონტიგენტს (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა იმ დროს, როდესაც 1938/39 წლის მისალები კონტიგენტი დამტკიცებული იყო 150 კაცის რაოდენობით, ფაქტურად ჩარიცხა 245 კაცი, ხოლო ზოოვეტინსტიტუტს არ ჩაუტარებია სტუდენტთა მიღება ვეტერინალურ სპეციალობაზე, უმაღლეს სასწავლებელთა დაუსწრებელი განყოფილებანი არ არიან უზრუნველყოფილი სასწავლო მატერიალური ბაზით (ლაბორატორიებით, კაბინეტებით, აუდიტორიებითა და საერთო საცხოვრებლებით) ზოგიერთი დაწესებულებანი და საწარმოები (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, განათლების რაიონული განყოფილება და სხვა). არ აღვევნ წარმოებაში მომუშავე დაუსწრებელ სტუდენტებს საგამოცდო სესიების დროს კუთვნილ შევბულებას.

დაუსწრებლათ მოსწავლე სტუდენტები არ არიან უზრუნველყოფილი პროგრამებით, მეთოდური მითითებებით, სასწავლო სახელმძღვანელოებით, განსაკუთრებით ნაციონალურ ენებზე. დაუსწრებელ განყოფილებათა უმრავლესობას ადგილებზე არა აქვს საკონსულტაციო პუნქტები (თბილისის სატრანსპორტო საინჟინერო ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და სხვ.) დაუსწრებელათ მოსწავლე სტუდენტთა აკადემიური წარმატება ძალიან დაბალ დონეზე დგას, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაუსწრებელ სტუდენტთა 300 კაციდან შემდეგ კურსებზე გადავიდა მხოლოდ 62 კაცი (20%), ქუთაისის პედინსტიტუტში 2444 კაციდან მეორე კურსზე გადაყვანილია მხოლოდ 349 კაცი (14%), ხოლო სრული კურსი დამთავრა: ზოოვეტინსტიტუტში — 8 კაცმა, თბილისის სატრანსპორტო-საინჟინერო ინსტიტუტში — 51 კაცმა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში — 3 კაცმა, ქუთაისის პედინსტიტუტში 17 და სახელმწიფო უნივერსიტეტში — 203 კაცმა.

ინსტიტუტებში (თბილისის სატრანსპორტო-ინჟინერთა ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და სხვ.) ჯერ კიდევ არ არის გატარებული საზრატო-საგანაკვეთო სისტემა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს და დაუსწრებელი სექტორის გამგებს:

ა) ზუსტად დაიცვან დაუსწრებელ განყოფილებებზე მიღებისა და მათი კონტიგენტების დამტკიცების წესები;

\* ბ) არ დაუშვან დაუსწრებელათ მოსწავლე სტუდენტთა მასობრივი გადასვლა სტაციონარზე;

გ) გამოჰყონ და დაუსწრებელ განყოფილებებს მიამდგრონ საჭირო რაოდენობის აუდიტორიები და საერთო სადგომები ჩამოსულ დაუსწრებელად მოსწავლე სტუდენტთათვის, აგრეთვე დააწესონ დაუსწრებელათ მოსწავლე სტუდენტთა მიერ სათანადო კაბინეტებისა და ლაბორატორიების გამოყენების გრძელები საათები;

დ) ერთი თვის ვადაში შემოილონ უმაღლეს სასწავლებელთა ყველაზე დაუკავშირდება სწრებელ განყოფილებაში მასწავლებელთა შემაღენლობის შრომის ანაზღაურების სამტატო-საგანაკვეთო სისტემა;

ე) გამოსცენ ნაციონალურ ენებზე დაუსწრებელი განყოფილებებისათვის მეთოდური სახელმძღვანელოები და მისალები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას.

2. წინადადება მიეცეს უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს ერთი დეკადის ვადაში განიხილონ სამეცნიერო საბჭოების სხდომაზე დაუსწრებელ განყოფილებათათვის სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების გამოშვების გეგმა.

3. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დააზუსტოს და დამტკიცოს სპეციალობათა და ფაულტეტთა ნომენკლატურა ზორეტინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილებისათვის.

4. დაისკავ საკითხი გზათა სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა ამიერკავკასიის რეინიგზაზე გახსნას საკონსულტაციო პუნქტები, რომლებიც მომსახურეობას გაუწევენ თბილისის სატრანსპორტო საინჟინერო ინსტიტუტის დაუსწრებელთა მოსწავლე სტუდენტებს.

5. დაევალოს განათლების, მიწათმოქმედების, იუსტიციისა და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს მოაწყონ საკონსულტაციო პუნქტების ქსელი დაუსწრებელი განყოფილებებისათვის.

6. დაევალოს სახალხო კომისარიატებსა და უწყებებს თავის დროზე მისცენ დაუსწრებელათ მოსწავლე სტუდენტებს დამატებითი შვებულება საგამოცდო სალაბორატორიო სესიებზე მონაწილეობის მისაღებად, თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 29 აგვისტოს დადგენილებისა, „უმაღლესი დაუსწრებელი სწავლების შესახებ“.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგო კომისიამ გამოპყოს საჭირო რაოდენობის ქაღალდი ძირითადი სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე გამოსაცემათ დაუსწრებელ განყოფილებათა სტუდენტებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

## 61. თამბაქოს თავისუფალი გაყიდვის შესახებ.

საქართველო  
სამართლებრივი კოდექსი

1938 წლის მოსაცელის თამბაქოს დამზიდების სახელმწიფო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღეცნს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მეთამბაქონბის რაიონების კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომლებმაც შეასრულეს თამბაქოს ჩაბარების საკონტრაქტაციო ვალდებულებენი, თავისუფლად გაჰყიდონ ზედმეტი თამბაქო ადგილობრივ ბაზრებზე, რკინიგზის სადგურებსა და წყლის ნავსადგურებში, თუ თამბაქოს მიტანა გაყიდვის ადგილზე არ არის დაკავშირებული რკინიგზით ან წყლის ტრანსპორტით გადაზიდვასთან.

2. აღნიშნულ ადგილებში თამბაქოს გაყიდვის უფლება ეძლევა კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათს საკონტრაქტაციო წიგნაკში იქნება საქთამბაქოს ნედლეულის რაიონული დამამზადებელი კანტორის აღნიშვნა მათ მიერ საკონტრაქტაციო ვალდებულებათა შესრულების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. მაისის 29. № 1005.

თავილისი.

## 62. საპროექტო ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების შედეგებისა და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ხაქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ საპროექტო ორგანიზაციების უმრავლესობას ჯერაც არ გარდაუქმია მუშაობა შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 26 თებერვლის დადგენილებისა „საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო ხაქმის გაუმჯობესებისა და მშენებლობის დაფინანსების მოწესრიგების შესახებ“ (სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 9, მუხ. 58).

ჯერაც კიდევ ფართოდ არის გავრცელებული არაკომპლექსური პროექტითება, პროექტის ნაწილების შედეგნ ერთიმეტორისაგან ცალცალკე, განსაკუთრებით სანტექნიკისა და ელექტრომეურნეობის დარგში, რაც იწვევს პროექტების ხშირ გადაკეთებას (თბილისის ქალაქპროექტი, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და განსახურობის საპროექტო სახელოსნოები და სხვ.).

ადგილი იქნება პროექტების მოწვევეტას ხარჯთაღრიცხვების შედეგნისაგან, რომლებსაც სახარჯთაღრიცხვო ჯგუფები ადგენნ პროექტების ავტორთა მონაშილეობის გარეშე (თბილისის საბჭოს ქალაქპროექტი, საქომუნპროექტის მე-4 სახელოსნო, ვაჭრობის სახურმატის და განსახურმის საპროექტო სახელოსნოები).

მთელ რიგ შემთხვევებში პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს აქვთ აზრის მატერიალური ბითი დეფექტები (თბილქალაქპროექტი, ვაკრობის სახკომატის საპროექტო სახელოსნო), მათ ახასიათებს სიღიღე და სირთულე, მათი შედგენა ხშირად ხდება ცალკეულ საწარმოთა ურთიერთკოოპერირების შესაძლებლობათა გაუ-თვალისწინებლად.

თითქმის ყველა საპროექტო ორგანიზაციას 1938 წლის განმავლობაში არ ჰქონდა მუშაობის მტკიცეთ დადგენილი წლიური გეგმა, ამის შედეგად მათი დატეირთვა ხდებოდა არათანაბრად: მრავალ შემთხვევაში პროექტირების იწყებდნენ ისე, რომ არ ჰქონდათ დამკვეთის საგეგმო დავალებანი, ხოლო არსებული საგეგმო დავალებანი ხშირად ხარისხობრივად არასრულფასიანი იყო (თბილქალაქპროექტი), ტექნიკური პროექტები სდგებოდა დაუმუშავებელი და სათანადოთ დაუმტკიცებელი საპროექტო დავალების გარეშე (თბილქალაქპროექტი, საქომუნიპროექტი).

სახალხო კომისარიატების მიერ ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული საპროექტო სამუშაოთა პრეისკურანტები და აგრეთვე პროექტების შემდგენთა შრომის ანაზღაურების სისტემა. პროექტირების ლირებულების გამოსაანგარიშებლად საპროექტო ორგანიზაციები სარგებლობენ სხვადასხვა უწყებათა პრეისკურანტებით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში პრეისკურანტების პროექტებით და ფასების ისეთი ცნობარებით, რომელთაც უკვე დაკარგული აქვთ ძალა, ყველაფერი ეს იწვევს პროექტირების ლირებულების აწევას (თბილქალაქპროექტი, საქომუნიპროექტი, სადაც გამოყენებული იყო პროექტების შემდგენთა შრომის სააკორდო ანაზღაურება, და სადაც ადგილი ჰქონდა ხელფასის აწევას პროექტების შემდგენთათვის დაუსაბუთებელ შეფასებათა მიხედვით).

საპროექტო ორგანიზაციები არ იბრძოდნენ საპროექტო სამუშაოთა თვით ღირებულების გაიაფებისათვის ცალკეულ კონსტრუქტიულ ელემენტების შექსი-მაღლური ტიპიზაციისა და სტანდარტიზაციის გზით.

მთელ რიგ შემთხვევებში საპროექტო სახელოსნოები არ არის დაკომპლექტებული სათანადო კვალიფიციური სპეციალისტებით, რის შედეგად ადგილი აქვს პროექტების გადაცემას განხე, კერძო დამპროექტებლებისათვის (თბილქალაქპროექტი, საქომუნიპროექტი, ვაკრობის სახკომატისა და განსახკომის საპროექტო სახელოსნოები).

ხელოვნებათა საქმის სამმართველო, მიუხედავათ სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა, კერძო პროექტირების აკრძალვის შესახებ, წარსულში ფართო მასშტაბით ეწეოდა პროექტების გადაცემას კერძო დამპროექტებლებისათვებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. პროექტირების საქმის მოწესრიგებისა და პროექტების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებლად იქნას ცნობილი პროექტირების თავმყრა შემდგომ საპროექტო ორგანიზაციებში:

ა) სამრეწველო მშენებლობის პროექტირება საქართველოს სსრ ადგილო-

პრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქსახპროექტში და საქართველოში ლოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის კვებპროექტში;

ბ) სამრეწველო მშენებლობის პროექტირება — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საქომუნპროექტში;

გ) ქალაქ თბილისის ორასამრეწველო ნაგებობათა პროექტირება თბილაქალპროექტში;

დ) სოფლის მეურნეობის ყველა ობიექტის პროექტირება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ საქსოფლპროექტში, რომელთანაც გაერთიანებულ იქნას „საქსოფლელექტროს“ და საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს საპროექტო განყოფილებები 1940 წლის 1 იანვრიდან.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს შეინარჩუნოს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ჯგუფი მარტოდებ მაღაზიების გაფორმებისა და სავაჭრო შენობათა რემონტის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შესადგენად და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს საპროექტო სახელოსნო იმისათვის, რომ მან ქალაქ თბილისის გარეთ უზრუნველყოს სასკოლო შენობათა მშენებლობა და რემონტი პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით.

3. წინადაღება მიეცეს საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, განათლების სახალხო კომისარიატს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს და თბილისის საბჭოს მიიღონ საჭირო ზომები და დაუყოვნებლივ გარდაქმნან მათვის დაქვემდებარებული საპროექტო ორგანიზაციების მუშაობა (საქომუნპროექტო, საქვემდპროექტო, თბილქალაქპროექტი, მიწასახომის, განსახეობის და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საპროექტო სახელოსნოები) სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 26 თებერვლის დადგენილების შესაბამისად, რისთვისაც:

ა) ორი დეკადის ვადაში დამათვრონ საპროექტო სამუშაოთა პრეისკურანტებისა და პროექტების შემდგენთა შრომის ანაზღაურების სისტემის დამუშავება სსრ კავშირის ეკონომისაბჭოს 1939 წ. 16 თებერვლის № 248 დადგენილების საფუძველზე და წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის;

ბ) სახალხო კომისარიატებმა და უწყებებმა ფართოდ გამოიყენონ სკოლების, საცხოვრებელი სახლების, სახანძრო დეპონების, პატარა სასტუმროების, საავათმყოფოების, საბაზუო ბაგებისა და კერების და აგრეთვე ცალკეული სამშენებლო დეტალების (ფანჯრები, კარები და სხვ.) არსებული ტიბური პროექტები, დანერგონ ისინი მშენებლობაში და მომავალში არ დაუშვან ახალი პროექტების შედგენა, თუ კი არსებოს სათანადო ტიბური პროექტი.

გ) ლიკვიდირებულ იქნას სახარჯთაღრიცხვო საქმის მოწვევა პროექტის რებისაგან და არაკომპლექსური პროექტირების პრაგრიკა, რისთვისაც ყველა საპროექტო სამუშაოებისათვის მოეწყოს საკომპლექსო ბრიგადები.

4. სახალხო კომისრებმა და უწყებათა ხელმძღვანელებმა:

ა) პირადად იმუშაონ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ხარისხის სიკითხებზე, აღმოფხერან პროექტების მეტისმეტი დატვირთულობა, თვალყური აღვნონ საწარმოო, დამხმარე სადგომების სწორ განაწილებას, პროექტირების ღროს გაითვალისწინონ საწარმოთ ურთიერთკოოპერირების შესაძლებლობა და არ დაუშვან გადაჭარბება ტერიტორიის გამოყოფისა, შენობათა გარეგანი და შინაგანი გაფორმების დარღვი და სხვ.;

ბ) აქტიალონ პროექტების გადაცემა კერძო დამპროექტებლებისათვის და აღმოფხერან შეთავსების პრაქტიკა საპროექტო ორგანიზაციებში;

გ) აქტიალონ დაუმტკიცებელი ფასების ცნობარებით სარგებლობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებზე, მიაღწიონ პროექტირების ლირებულების გაიაფებას, ტიპიური და სტანდარტული პროექტების მაქსიმალურად გამოყენების გზით;

დ) პირადად დამტკიცონ საგეგმო დავალებანი პროექტირებისათვის და არ დაუშვან ტექნიკური პროექტების შედეგენა დამტკიცებული საპროექტო დავალებათა გარეშე;

ე) აღმოფხერან სახელშეკრულებო ვადების დარღვევის პრაქტიკა და შემოილონ წახალისება პროექტების მაღალხარისხოვნად და ვადამდე შესრულებისათვის, ამასთანავე დაწესონ სასჯელი პროექტების არახარისხოვნი შესრულებისათვის;

ვ) პრაქტიკაში შემოილონ პროექტების საზოგადოებრივი დათვალიერება საპროექტო ორგანიზაციების შიგნით და ობიექტების დამთავრებული პროექტების გამოფენათა ორგანიზაცია პროექტების დამტკიცებამდე.

5. დაევალოს სახალხო კომისარიატებს და თბილისის საბჭოს მოაწესრივონ მუშაობა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ტექნიკური ექსპერტიზის დარღვი, რისთვისაც:

ა) ერთი დეკადის ვადაში განიხილონ და დამტკიცონ საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებთან და უწყებებთან არსებული საექსპერტო ტექნიკური ორგანოების მუშაობის გეგმები;

ბ) ორი დეკადის ვადაში დამტკიცონ და სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარუდგინონ საექსპერტო-ტექნიკურ ორგანოების მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვის ანაზღაურების ნორმები და აგრეთვე ძირითადი დებულებანი სპეციალისტ-ექსპერტთა შრომის ანაზღაურების სისტემის შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ერთი თვის ვადაში დამუშაოს ეს ნორმები და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

გ) უზრუნველყოფილ იქნას მეცნიერულ-ტექნიკური საბჭოების წარმომადგენლობა, მეცნიერულ-ტექნიკური შემადგენლობა, ისე რომ იქნას დაშვებული პროექტების ექსპერტიზა ვიწრო საუწყებო ხასიათის მეცნიერულ-ტექნიკურ საბჭოს შემადგენლობით;

დ) დაწესდეს ექსპერტიზაში პროექტების შემოსვლისა და გატარების წესი, ისე, რომ არ იქნას დაშვებული პროექტების განხილვა არაკომპლექსურად, ცალკეული პირების მიერ.

6. დაევალოს საქაომუნპროექტის ტრესტის მმართველს ამხ. ჩაინიძეს დაუყოვნებლივ აღმოფხვრას სახელოსნოთა ხელმძღვანელებისა და მათი მოაღვილეების მეტისმეტად გადიდებული შრომის ხელფასის ანაზღაურების პრაქტიკა და წინადადება მიეცეს მათ, პირადად გასცენ განრიგები განსაკუთრებით სახელოსნოების ხელმძღვანელება და მათ მოაღვილეებზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ: ბაქჩაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა შმართველის მ. ა. ი. შელეგაძ.

1939 წ. ივნისის 4 № 1025.  
თბილისი.

### 63. საქართველოს სსრ-ში საზომ-საწონი ხელსაწყოების რემონტის მოწესრიგების შესახებ.

აღინიშნოს, რომ მთელ რიგ სახალხო კომისარიატებს და უწყებებს (მიწ-სახეობი, ვიჭრობის სახალხო კომისარიატი და ცეკაშირი) დღემდე არ მიულიათ ზომები იმისათვის, რომ მოწესრიგებინათ საზომ-საწონი მეურნეობა თავიანთ სისტემებში, რის შედეგადაც მთელ რიგ მეურნეობებში ჯერ კიდევ მოიპოვება ხმარებაში საზომი ხელსაწყოები, რომლებიც მოითხოვენ რემონტს და კანონიერ მდგომარეობაში მოყვანას, რაც გამოვლინებულ იქნა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საზომ-საწონი ხელსაწყოების საქმეთა კომიტეტის საქართველოს სსრ რწმუნებულის სამმართველოს მიერ ჩატარებული რეებით.

მასთან ერთად საქართველოს სსრ აღგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ჩაატარა „საქაზომსაწონრემონტტრესტის“, როგორც საქართველოში საზომ-საწონი სამეურნეო ხელსაწყოების რემონტის ერთერთი ძირითადი ორგანიზაციის — მუშაობის გამოყვევა, რის შედეგადაც გამოირკვა:

1. „საქაზომსაწონრემონტტრესტი“ სუსტ მომსახურეობას უწევს საზომ-საწონ მეურნეობებს, რომლებიც რემონტს საკიროებენ.

2. ხელოვნურად არის გადიდებული საზომ-საწონის რემონტის ისედაც გადაჭარბებული შეფასებანი და ამასთან დაბალია რემონტის ხარისხიც.

3. აშერად არადამაკაყოფილებლად არის დაყენებული აღრიცხვა და ანგარიშება, რამაც გამოიწვია საფინანსო-საკრედიტო დისკიპლინის სისტემა-ტრი, დარღვევა, გაფლანგვები, მითეისება, და სხვა ბოროტმოქმედებები.

4. „საქაზომსაწონრემონტტრესტი“ სუსტ ხელმძღვანელობას უწევს სარემონტო სახელოსნოების სამეურნეო საფინანსო საქმიანობას.

5. არადამაქმაყოფილებლად არის დაყენებული სასწორების რეშილტრიკული სტატია კადრების მომზადებისათვის საჭირო მუშაობა.

იმ მიზნით, რომ ლიკვიდირებულ იქნას ორნიშნული ნაკლოვანებანი და თავის დროზე იქნას უზრუნველყოფილი საზომ-საწონი ხელსაწყოების რემონტი საქართველოს სსრ-ში აგრეთვე იმ მიზნით, რომ გაჯანსაღდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის „საქართველოს მონაცემთა მუშაობა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. წინადაღება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამს. ხოშტარიას) გორის, წნორის-წყლის, ახალქალაქის, ბორჩალოს და აბაშის სამანქანო სატრაქტორო სადგურებთან არსებულ სახელოსნოებში მოაწყოს 1939 წლის 2 აგვისტოსათვის იმ საწონ-საზომი ხელსაწყოების სარემონტო სამუშაოები, რომლებიც კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო სატრაქტორო სადგურებს ეკუთვნის, რისთვისაც ჩაატაროს საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი კადრების მომზადებისა და სახელოსნოების მოწყობის საქმეში.

2. წინადაღება მიეცეს ცეკავშირს არაუგვიანეს 1939 წ. აგვისტოსა მოაწყოს სასწორების სარემონტო სახელოსნო გამსვლელი ბრიგადებით იმისათვის, რომ მან მომსახურება გაუწიოს თავისი სისტემის სავაჭრო ქსელს საზომ-საწონი მეურნეობის რემონტის საქმეში.

3. წინადაღება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატს მოაწყოს მუდმივი რაიონული განყოფილებანი „საქართველოსნორემონტტრესტის“ სისტემაში შემდეგ ქალაქებსა და რაიონებში:

ა) თბილისში — ცენტრალური სახელოსნო, რომელიც მომსახურებას გაუწევს ქალაქ თბილისს და თბილისის, აღმულახის, ბაშკიჩეთის, ბორჩალოს, დუშეთის, ლუქეშმურგის, ყაბეგის, ყარაიისა და წალკის რაიონებს;

ბ) გურჯაანში, რომელიც მომსახურეობას გაუწევს გურჯაანის, თელავის, ყვარლის, სიღნაღის, ლაგოდების, წითელ-წყაროს, საგარეჯოსა და თიანეთის რაიონებს;

გ) სტალინირში, რომელიც მომსახურეობას გაუწევს ზნაურის, ლენინგრადის, სტალინირის და ჯავის რაიონებს;

დ) გორში, რომელიც მომსახურეობას გაუწევს გორის, კასპის, ხაშურის და ბორჯომის რაიონებს;

ე) ახალციხეში, რომელიც მომსახურეობას გაუწევს ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბოგდანოვეკის და ახალქალაქის რაიონებს.

ვ) ქუთაისში, რომელიც მომსახურეობას გაუწევს ქ. ქუთაისს, ქუთაისის, ჭიათურის, საჩხერის, ზესტაფონის, ორჯონივიდის, წულუკიდის, ტყიბულის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ცაგერის, ქვ. სვანეთის, ამბროლაურის და ონის რაიონებს;

ზ) ბათუმში, რომელიც მომსახურეობას გაუწევს ქ. ბათუმს და ბათუმის, ქედის, ხულოს და ქობულეთის რაიონებს;

თ) მახარაძეში, რომელიც მომსახურეობას გაუწევს მახარაძის, ლანჩხიშვილისა და ჩხხატაურის რაიონებს;

ი) ცხაკაიაში, რომელიც მომსახურეობას გაუწევს ზუგდიდის, ცხაკაიას რაიონებს ქ. ფოთს, აბაშის, გეგვეჯორის, ჭალენჯიხის, ჩხოროწყუს და ზემო-სევანე-თის რაიონებს;

კ) სოხუმში, რომელიც მომსახურეობას გაუწევს ქ. სოხუმს და სოხუმის, გაგრის, გალის, გუდაუთის და ოჩემიჩირის რაიონებს.

4. სამხრეთ-ოსეთის აეტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და გურჯაანის, მახარაძის, ცხაკაიას, გორის, ახალციხის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებმა დაუთმონ საქართველოს სსრ აღვილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატის „საქსაზომსაწონრემონტრესტს“ სათანადო სადგომები საზომ-საწონი ხელსაწყოების სარემონტო განყოფილებებისათვის, რომლებიც ახლად იხსნებიან.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ გაფრინდის სახალხო კომისარიტს, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს, მსუბუქ მრეწველობის სახალხო კომისარიატს, აღვილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, კევბის მრეწველობის სახალხო კომისარიატს ცეკვიშირსა და ყველა დანარჩენ სახალხო კომისარიატებსა და უშეცვებებს სისტემატიური ტექნიკური ზედამხედველობა გაუწიონ საზომი ხელსაწყოების კანონიერ მდგომარეობას, ამასთან უზრუნველყონ საზომ-საწონი ხელსაწყოების დროული რემონტი თავიანთ სისტემაში.

6. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საზომ-საწონი ხელსაწყოების საქმეთა კომიტეტის საქართველოს სსრ რწმუნებულის სამმართველოს — ამს. ლეკიშვილს უზრუნველყოს საჭირო ინსტრუქტაჟით ის ორგანიზაციები, რომლებიც საზომ-საწონი ხელსაწყოების რემონტს ეწევიან, აგრეთვე ტექნიკური ზედამხედველობა გაუწიოს სახალხო კომისარიატებისა და უშეცვებათა საზომი ხელსაწყოების კანონიერ მდგომარეობას.

7. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე ყველა საქალაქო საბჭოებსა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს ყოველგვარი დახმარება აღმოჩენილ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც საზომი ხელსაწყოების რემონტს ეწევიან და მტკიცე კონტროლი გაუწიონ მათ მუშაობას.

8. იმ მიზნით, რომ გაჯანსაღდეს „საქსაზომსაწონრემონტრესტს“ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა და აღმოითხვრას არსებული დეფექტები და ბოროტმოვნედებანი, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის, საქმთავმანქმრეწვის (ამს. ზაცარანის) ერთი დეკადის ვადაში დასახოს და გაატაროს „საქსაზომსაწონრემონტრესტის“ სისტემის ზაზით ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ აღრიცხვისა და ანგარიშების ფულადი და საკასო მოქარაციებისა და მასალების ხარჯების მოწესრიგებას.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ აღვილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამს. გორდეზიანს):

ა) ერთი დეკადის ვადაში გადასინჯოს საზომ-საწონი ხელსაწყოების რემონტის საქ. სსრ-ში ყველა ამჟამად მომქმედი შეფასებანი და დააწესოს ერთიანი შეფასებანი მთელ საქართველოსათვის, რომელ ქაღაქებში, ისე რაიონებში და განსახილველად ჭარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

ბ) შეამოწმოს და განამტკიცოს კადრებით როგორც საზომსაწონრემონტ-ტრესტის აპარატი, აგრეთვე რაიონულ სახელოსნოების მთელი ხელმძღვანელი შემადგენლობა;

გ) გამოავლინოს სასწორების რემონტის სამუშაოების დარგის ყველა ისტატი — სპეციალისტი, რომლებიც საქართველოს სსრ აღგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებში მუშაობენ, და გადასცეს ისინი საქართველოსაწონრემონტტრესტს;

დ) ორი დეკადის ვადაში მოაწყოს სასწორის ისტატთა კურსები ქ. თბილისში ცენტრალურ სახელოსნოებთან;

ე) „საქართველოსაწონრემონტტრესტის“ სისტემის ყველა განყოფილებაში მოაწყოს საზომ-საწონი ხელსაწყოების რემონტის გამსვლელი ბრიგადები რაიონებისათვის მომსახურეობის გასაწევად, რისთვისაც უზრუნველყოს განყოფილებები ნახევარტონიანი მანქანებით და გადააცეთოს ისინი მოძრავ სახელოსნოებად;

ვ) ჩატაროს საშტატო თანამდებობათა გადაჯგუფება დამტკიცებული კონტიგენტისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში იმ ანგარიშით, რომ დააწესოს კონტროლიორ-ინსპექტორთა თანამდებობანი 4 კაცის რაიონებით, რომლებიც შეამოწმებენ რემონტის ხარისხს და გადააცევინებენ საზომ-საწონი ინსტრუმენტების რემონტის საფასურს.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ აღგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამბ. გორდეზიანს) პასუხისებაში მისცეს ის პირები, რომელთაც დანაშაული მიუძღვით „საზომსაწონრემონტტრესტის“ სისტემაში სამეცნიერო-საუინანსო დისკიპლინის დარღვევისა და სახელმწიფო სახსრების განივების საქმეში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

РУСТ 33,35  
Б, КЕ КМЭЛ  
1-1-36



**გამოვლენი:** ხაქართველოს სსრ ხანალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში  
ხელწერილის ქვეშ

## ମିସାମାରତିଶାତ୍ରିଲି

ଓৰ্ব ৪০ গুড়,

გამომცემლობა „კომუნისტი“-ს პოლიგრაფუკომპინატი, ლენინის ქ. № 28  
მთავრობის რწმ. № 6—483 შეკვე. № 682 ტარაგი 2000